უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ბ ოდნისა

აუდიტური კონცერნი

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“-ს
და მისი შვილობილი კომპანიების

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საიდენტიფიკაციო № 211344188. ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge, www.tsodnisa.ge
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს 2015 წლის
ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტორის – შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს მიერ ჩატარებული იქნა სს **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს (შემდგომში – *კომპანია*) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - სს **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს ჯგუფი) ფინანსური ანგარიშგების (თან ერთვის) აუდიტი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2015 წლის სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას საანგარიშო პერიოდისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და განმარტებებს.

2. *კომპანიის* ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების წარმოებაზე და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და იმპლემენტაციას, რომელიც არ უნდა შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს თაღლითობისა და/ან შეცდომების გამო. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში. აუდიტის პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორების მოსაზრებებზე და ხდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას მატერიალური შეცდომების ან თაღლითობის შედეგად ანგარიშგების დამახინჯების რისკი. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის და სააღრიცხვო ჩანაწერების სისწორის შეფასებას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

3. აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, სააქციო საზოგადოება **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს 2015 წლის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების *(IFRS)* მიხედვით. წარმოდგენილი 2015 წლის ფინანსური ანგარიშგება ყველა ძირითად ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს *საწარმოს* ფინანსურ მდგომარეობას, შემოსავლებს და ხარჯებს, ფულადი სახსრების მოძრაობას 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოს მდგომარეობით.

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს
გენერალური დირექტორი — გიორგი ცერცვაძე

14.03.2016 წ.

	შენიშვნა	2015	2014
მოზიდული ჯამური პრემია		10 574 926	5 830 622
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(1 465 748)	(3 447 566)
გადაზღვევის ხარჯი		(3 737 085)	(883 014)
გამომუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია:	3	***5 372 093***	***1 500 042***
სადაზღვევო ზარალები	4	(5 085 904)	(1 495 847)
აგენტების და ბროკერის საკომისიო		(148 087)	(42 328)
სხვა შემოსავალი სადაზღვევო საქმიანობიდან	5	336 692	15 260
შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან		265 682	53 869
შემოსავალი გადაზღვევიდან მიღებულ ზარალის ანაზრაურებაზე		571 024	
ცვლილება მომხდარ, მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვში	6	(111 121)	135 896
ცვლილება განხცადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალის რეზერვი		(282 242)	245 037
მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან:		***918 137***	***411 929***
მიწოდების სხვა ხარჯები		(43 365)	(50 174)
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1 445 243)	(1 188 117)
სულ საოპერაციო მოგება:		***(570 471)***	***(826 361)***
ფინანსური შემოსავალი	8	42 222	120 830
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	9	246 024	80 675
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		(1 958)	(12 863)
მოგება დაბეგვრამდე:		**(284 182)**	**(637 720)**
მოგების გადასახადი		290 298	(152 383)
პერიოდის მოგება (ზარალი)		**6 116**	**(790 103)**
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებები გადაფასება			
ცვეთის ხარჯის გადაფასების ნაწილი		(496)	(496)
წლის სხვა სრული წმინდა შემოსავალი (ხარჯი)		**(496)**	**(496)**
სულ წლის სრული შემოსავალი (ხარჯი)		**5 620**	**(790 599)**

გენერალური დირექტორი _____ *არჩილ მამაცაშვილი*

მთავარი ბუღალტერი _____ *კონსტანტინე მურადაშვილი*

	შენიშვნები	ბალანსი 01.01.2016	ბალანსი 01.01.2015
სულ მიმდინარე აქტივები:		**11 157 001**	**7 828 664**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	2 191 310	2 039 723
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	11	4 633 763	3 405 146
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	12	367 245	29 065
საქონელი		56 353	3 744
წინასწარ გაწეული ხარჯები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	13	13 835	9 612
წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი	14	3 013 591	2 270 413
სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან	15	873 728	70 765
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	16	7 175	197
სულ გრძელვადიანი აქტივები		**577 278**	**275 081**
ძირითადი საშუალებები	17	161 516	145 383
არამატერიალური აქტივები		24 504	28 738
გადავადებული საგადასახადო აქტივი	18	391 259	100 960
აქტივები სულ:		**11 734 279**	**8 103 745**
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**9 933 068**	**6 308 154**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		9 867	(284)
გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება	19	4 011 110	2 443 454
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი		187 026	75 905
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი		519 238	236 996
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	20	138 463	29 955
გადავადებული შემოსავალი	22	5 067 363	3 522 128
ვალდებულებები სულ:		**9 933 068**	**6 308 154**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	23	4 670 300	4 670 300
გადაფასების რეზერვი	24	951	1 447
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)		(2 870 040)	(2 876 156)
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		6 116	(790 103)
კაპიტალი სულ:		**1 801 211**	**1 795 591**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		**11 734 279**	**8 103 745**

გენერალური დირექტორი _____ *არჩილ მამაცაშვილი*

მთავარი ბუღალტერი _____ *კონსტანტინე მურადაშვილი*

	2015 წელი	2014 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	8 705 032	2 252 562
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(2 232 179)	(550 057)
ანაზღაურებული ზარალები	(5 077 972)	(2 131 293)
გადამზღვევის მიერ ანაზღაურებული ზარალები	-	(10 004)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	184 545	-
გადახდილი ხელფასები	(790 615)	(696 962)
აგენტის და ბროკერის საკომისიო	(126 105)	(30 296)
კომუნიკაციის ხარჯი	(42 581)	(26 265)
საკანცელარიო	(13 394)	(19 249)
რეკლამა	(3 533)	(35 288)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(4 911)	(12 114)
გადახდილი საიჯარო ქირა	(189 288)	(134 238)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(241 596)	(46 507)
ფულადი სახსრები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	(214 448)	(60 765)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***(47 042)***	***(1 500 477)***
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(52 110)	(165 904)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	-	13 835
მიღებული პროცენტები დეპოზიტებიდან	35 263	124 978
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***(16 847)***	***(27 092)***
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	(1 865)	(219)
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***(1 865)***	***(219)***
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)	217 341	90 531
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	***151 588***	***(1 437 257)***
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	**2 039 722**	**3 476 979**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს:	***2 191 310***	***2 039 722***

გენერალური დირექტორი _____ *არჩილ მამაცაშვილი*

მთავარი ბუღალტერი _____ *კონსტანტინე მურადაშვილი*

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ:
ნაშთი 2013 წლის 1 იანვრისთვის	**2 670 300**	**-**	**2 439**	**(229 249)**	**2 443 490**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	2 000 000				**2 000 000**
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(496)	(1 856 803)	**(1 857 299)**
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	**4 670 300**	**-**	**1 943**	**(2 086 053)**	**2 586 190**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)					**-**
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(496)	(790 103)	**(790 599)**
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	**4 670 300**	**-**	**1 447**	**(2 876 156)**	**1 795 591**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)					**-**
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(496)	6 116	**5 620**
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	**4 670 300**	**-**	**951**	**(2 870 040)**	**1 801 211**

გენერალური დირექტორი _____ *არჩილ მამაცაშვილი*

მთავარი ბუღალტერი _____ *კონსტანტინე მურადაშვილი*

1. ძირითადი ინფორმაცია

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ" (შემდგომში – კომპანია) დარეგისტრირებულია 13.09.2001 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს № 5/4-2960 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204970031, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა. მისი რეგისტრაცია ჩატარებულია *„მეწარმეთა შესახებ"* საქართველოს კანონის შესაბამისად. 2015 წლის 24 დეკემბერს „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შპს „დაზღვევის კომპანია ქართუ"-მ შეცვალა სამართლებრივი ფორმა და გახდა სს „დაზღვევის კომპანია ქართუ". *კომპანია* დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლების იყვნენ კომპანია „რინგოლდ ფინანს ლიმიტიდ" (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), რომელიც ფლობდა *კომპანიის* კაპიტალში წილის 17.73%-ს და სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ" (საქართველო), რომელიც ფლობდა *კომპანიის* კაპიტალში წილის 82.27%-ს. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 4670300 ლარს.

კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისათვის. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. კომპანიის ასევე აქვს ოთხი სერვისცენტრი: თბილისში, ბათუმში, ფოთში და თელავში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ"-ს 2015 კალენდარული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად და აგრეთვე ზედამხედველობის ორგანოების იმ წესების გათვალისწინებით, რომლებიც რაღაც ასპექტში მცირედ განსხვავდებიან ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისგან. კომპანიას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების წარმოება ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. კომპანია გასაყიდად არსებულ ფინანსური აქტივებს აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით, ასეთი აქტივების არსებობის შემთხვევაში. 2015 წლის განმავლობაში სს „დაზღვევის კომპანია ქართუ"-ს ასეთი აქტივები არ გააჩნდა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით, იმის გამო, რომ კომპანიის ოპერაციების უმრავლესობა წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. სხვა ვალუტებში წარმოდგენილი ოპერაციები განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანია წარადგენს ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებას საბალანსო მუხლების ლიკვიდობის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

2.1. ფულადი ნაკადები

კომპანია წარმოადგენს ფულად ნაკადებს სადაზღვევო პოლისების/ხელშეკრულებების გაყიდვიდან და გადაზღვევის კონტრაქტების შესყიდვიდან, როგორც საოპერაციო ფულად ნაკადებს, ვინაიდან კომპანიის საქმიანობა სწორედ სადაზღვევო საქმიანობაა.

2.2. შვილობილი კომპანიები

კომპანიისთვის შვილობილი კომპანიები ის კომპანიებია, რომლებშიც მას გააჩნია ხმათა ნახევარზე მეტი და აქვს უფლება აკონტროლოს მათი საქმიანობა. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ერთადერთი შვილობილი კომპანია გააჩნდა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეესტრი XXI", რომელიც დარეგისტრებულია 30.10.2001 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულის სასამართლოს № 5/4-3005 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204975438, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა. კომპანია ფლობს შპს „რეესტრი XXI"-ის საწესდებო კაპიტალში წილის 100%-ს. შპს „რეესტრი XXI"-მა თავის მხრივ, ასევე 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, 2003 წლის 29 იანვარს დააფუძნა კიდევ ერთი შვილობილი კომპანია შპს „დიაბაზი", რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულის სასამართლოს № 5/4-3466 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204999500.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია შვილობილ კომპანიებს აღრიცხავს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით (იმ ფინანსური აღრიცხვის ფორმებში, რომლებიც წარედგინება სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს).

2.3. სადაზღვევო ხელშეკრულებები და სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

სადაზღვევო ხელშეკრულებები/პოლისები განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულებები/პოლისები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს ხელშეკრულების/პოლისის ამოქმედების მომენტიდან, ან ხელშეკრულების/პოლისის ამოქმედების მომენტში სადაზღვევო რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკი დამოკიდებულია დაზღვეული შემთხვევის ალბათობაზე და მისი სამომავლო შედეგის მოცულობაზე. მას შემდეგ რაც ხელშეკრულება აღიარდება სადაზღვევო ხელშეკრულებად, ის განიხილება სადაზღვევო ხელშეკრულებად მისი დარჩენილი მოქმედების პერიოდის განმავლობაში (თუკი არ მოხდება მისი გაუქმება/ანულირება), იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო რისკი მკვეთრად შემცირდება.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს სხვადასხვა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების/პოლისების გაყიდვით. კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან/პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდზეც განსაზღვრულია სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისისა, თუ საბანკო გარანტიის მოქმედება. პოლისის და საბანკო გარანტიის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო პრემიის (საბანკო გარანტიის საზღაურის) სრულ თანხას აღიარებს, როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდგომ ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეებზე).

2.4. სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.5. სხვა არასადაზღვევო ხარჯები

კომპანია აღიარებს სხვა არასადაზღვევო მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

2.6. გადავადებული შემოსავალი

კომპანია ახდენს მომავალი პერიოდების შემოსავალების გადავადებას და ასახავს მათ ბალანსში. სადაზღვევო პრემიების ის ნაწილი, რომელიც შემდგომ პერიოდებს განეკუთვნება, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმგვარად, რომ ამონაგები აღიარებულია რისკის პერიოდში, ან მოსალოდნელი სამომავლო სარგებლის პროპორციულად.

2.7. სადაზღვევო რეზერვები

სადაზღვევო რეზერვების ფორმირების წესს არეგულირებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას გააჩნდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამივე რეზერვი: გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

კომპანიის განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი შედგება ორი ნაწილისგან: რეზერვის ის ნაწილი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიაში შემოვიდა საბუთის (ინვოისის) საფუძველზე; რეზერვის ის ნაწილი, რომლის ოდენობა არ არის დადასტურებული საგადასახადო საბუთით, მაგრამ მისი ოდენობის სანდო შეფასება შესაძლებელია.

2.8. ანარიცხები

ანარიცხები ბალანსში ტარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული გარემოებების შედეგად კომპანიას აქვს იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება, და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებელის გასვლა აღნიშნული ვალდებულების დასაფარავად.

2.9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ნაღდი ფული სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფული განთავსებული საბანკო დეპოზიტებზე, რომელთა განაღდების ვადა ერთ წელს არ აღემატება.

2.10. მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები აღიარდება სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის/გადაზღვევის კონტრაქტების პირობებზე დაყრდნობით და განისაზღვრება სახელშეკრულებო/საკონტრაქტო თანხით (ღირებულებით). სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურებასთან მიმართებაში გადახედვა ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები და გარემოებები მიანიშნებენ იმას, რომ შესაძლებელია ვერ მოხერხდეს საბალანსო ღირებულების აღდგენა. გაუფასურების ზარალი აღიარდება კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

გადაზღვევის მოთხოვნები მოიცავს გადაცემულ სადაზღვევო ვალდებულებებისათვის სადაზღვევო და გადამზღვევი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს. ნაკისრი გადაზღვევის პრემიების აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც პირდაპირ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა. გადამზღვევლისთვის გადახდილი თანხები აღიარდება გადაზღვევის კონტრაქტების მიხედვით.

გაუფასურების ანალიზი ხორციელდება ყველა გადაზღვეულ აქტივზე, როდესაც ჩნდება გაუფასურების საშიშროება. გადაზღვევის მოთხოვნების გაუფასურება ხდება მაშინ, თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მიიღოს მისთვის გადასახდელი ყველა თანხა გადაზღვევის კონტრაქტის პირობების შესაბამისად და ამის შეფასება სანდოდ არის შესაძლებელი.

სხვა მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა სხვა დანარჩენ მიმდინარე მოთხოვნებს არასადაზღვევო მოთხოვნების, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.11. ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბუღალტრული აღრიცხვის 39-ე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების მქონე ფინანსურ აქტივებად მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადიან ინვესტიციებად, ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. თავდაპირველად, ფინანსური აქტივები აღირიცხება საბაზრო ღირებულებით, ამასთან, ისეთ შემთხვევაში, თუ ინვესტირება მოხდა არასაბაზრო ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით, მათ სამართლიან ღირებულებას ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების დროს. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ინვესტიციის შეძენის ან წარმოქმნის მიზანზე. საერთოდ, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით, რადგან ჯგუფის სტრატეგიას წარმოადგენს მართოს ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიძინა მისი სადაზღვევო და საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დასაფარად, იმავე საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით. გასაყიდად არსებული და ვადამდე ფლობილი კატეგორიები გამოიყენება მაშინ, როდესაც შესაბამისი ვალდებულება იმართება პასიურად და/ან აისახება ამორტიზებული ღირებულებით. როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით განსაზღვრულ, ან ბაზარზე დადგენილ პერიოდში.

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული, თუ განსაზღვრადი გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი შედის ინვესტიციის ღირებულებაში. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერის, ან გაუფასურების, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით ასახვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც არსებობს თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი არ გაიქვითება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის მოთხოვნილი, ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით, ან ინტერპრეტაციით.

2.12. სადაზღვევო ვალდებულებები

ზოგადი სადაზღვევო ვალდებულებები მოიცავს დასაფარი მოთხოვნების რეზერვს, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს და პრემიის უკმარისობის რეზერვს. ზოგადი სახელშეკრულებო/საკონტრაქტო ვალდებულებები ეფუძნება ყველა იმ მოთხოვნის განსაზღვრულ საბოლოო ღირებულებას, რომლებიც წარმოშობილ იქნა, მაგრამ არ იქნა დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღისათვის, იმისდა მიუხედავად, მოხდა თუ არა მათი გაცხადება. ამას ემატება მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარჯები.

ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გაცვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას. რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას, პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განიხილავს მის მიმდინარე რისკს და ვალდებულების ადეკვატურობის ტესტით განსაზღვრავს მოსალოდნელი მოთხოვნების და გადავადებული შესყიდვის ხარჯების მეტობას გამოუმუშავებელ პრემიასთან მიმართებაში.

2.13. მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენენ მოწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხულ ვალდებულებებს.

2.14. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. მოგების გადასახადის ის ნაწილი, რომელიც პირდაპირ კაპიტალს ეხება, აისახება კაპიტალის მუხლებში.

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საგადასახადო მოგების და მოქმედი გადასახადის განაკვეთის გამოყენებით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილს აქტივებს (ვალდებულებებს) შორის. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) №12.47-ის გადავადებული გადასახადები გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებს, ან იმოქმედებს იმ პერიოდში, როდესაც კომპანიას დაუდგება გადავადებული აქტივის (ვალდებულების) გამოყენების დრო. ამის გარდა, თუ იარსებებს, რაიმე სარგებელი კომპანიის საგადასახადო ზარალებიდან, რომელთა გადატანა შესაძლებელია მომავალ პერიოდებზე, ეს სარგებელი (გადავადებული აქტივი) ასევე ჩაირთვება გადავადებული გადასახადების კალკულაციებში.

გადავადებული გადასახადების დათვლა არ ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ცნობილია, რომ ამ გადასახადების სარგებლის გამოყენება ვერ მოხერხდება.

2015 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

2.15. ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. უცხოური ვალუტის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო გაცვლითი კურსით საანგარიშგებო თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასებით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი (საკურსო სხვაობა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოგების, ან ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში ვალუტის გადაცვლის კომპონენტის გამოკლებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით აღიარებულია უცხოურ ვალუტაში, გადაიყვანება თავდაპირველი ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული არამონეტარული მუხლების კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი სავალუტო გაცვლითი კურსის გამოყენებით. სხვაობები ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს არსებულ სებ-ის სავალუტო გაცვლით კურსს შორის ჩართულია ოპერაციებში, როგორც უცხოური ვალუტით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი.

31.12.2014 - USD 1 = 1.8636 GEL, EUR 1 = 2.2656 GEL, RUB 100 = 3.2879 GEL

31.12.2015 - USD 1 = 2.3949 GEL, EUR 1 = 2.6169 GEL, RUB 100 = 3.2724 GEL

3. გამომუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია

2014 და 2015 წლების განმავლობაში კომპანიამ მიიღო შემოსავალი შემდეგი სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების/პოლისების გაყიდვით:

	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)
	უბედური შემხვევის დაზღვევა	ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	სიცოცხლის დაზღვევა	სამედიცინო დაზღვევა	ტვირთების დაზღვევა	ავტომობილების დაზღვევა	გადამზიდველის პასუხიმგებლობის დაზღვევა	საავიაციო დაზღვევა	სამოგზაურო დაზღვევა	ქონების დაზღვევა	სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	საფინანსო დანაკარგების გან დაზღვევა	მცურავი სატრანსპორტო საშ. დაზღვევა	სულ
გამომუშ. პრემია	15 498	22 545	3 667	3 674 273	159 754	1 228 651	24 496	3 155 948	52 202	601 061	167 133	775	3174	**9 109 178**
გადაზღვევის ხარჯი					(117 818)	(391 536)	(11 975)	(2 886 029)		(305 275)	(24 451)			**(3 737 085)**
	15 498	**22 545**	**3 667**	**3 674 273**	**41 936**	**837 115**	**12 521**	**269 920**	**52 202**	**295 785**	**142 681**	**775**	**3 174**	**5 372 093**

	2014 (ლარი)	2014 (ლარი)	2014 (ლარი)	2014 (ლარი)	2014 (ლარი)	2014 (ლარი)	2014 (ლარი)	2014 (ლარი)	2014 (ლარი)	2014 (ლარი)	2014 (ლარი)
	უბედური შემხვევა	ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	სიცოცხლის დაზღვევა	სამედიცინო დაზღვევა	ტვირთების დაზღვევა	ავტომობილების დაზღვევა	საავიაციო დაზღვევა	სამოგზაურო დაზღვევა	ქონების დაზღვევა	სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	სულ
გამომუშ. პრემია	19 110	10 107	2 072	1 194 795	112 684	115 124	764 899	32 907	100 600	30 757	**2 383 055**
გადაზღვევის ხარჯი					(81 169)	(1 806)	(746 938)		(47 985)	(5 116)	**(883 014)**
	19 110	**10 107**	**2 072**	**1 194 795**	**31 515**	**113 318**	**17 960**	**32 907**	**52 615**	**25 641**	**1 500 042**

4. სადაზღვევო ზარალები

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (დაზღვევა ავტო)	1 171 629	83 929
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (ქონება)	215 655	
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (ტვირთები)	88	
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (სამოგზაურო)	2 248	575
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (საბანკო გარანტია)	4 000	1 111
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (სამედიცინო დაზღვევა)	3 692 203	1 410 233
	5 085 824	**1 495 847**

5. სხვა შემოსავალი სადაზღვევო საქმიანობიდან

კომპანიის სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან შეადგენდა 336692 ლარს 2015 წლის მდგომარეობით. სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლებს გადარჩენილი ქონებიდან – 73494 ლარი, ფრანშიზიდან მიღებული შემოსავალი - 1464 ლარი და რეგრესიდან მიღებული შემოსავალი – 261734 ლარი.

6. მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი (ლარი)

2014 წელი

2013 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	211 801
2013 წლის ხარჯის კორექტირება	(211 801)
2014 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	75 905
2014 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის ნეტო ეფექტი შემოსავლებზე / (ხარჯებზე)	**(135 896)**

2015 წელი

2014 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	75 905
2014 წლის ხარჯის კორექტირება	(75 905)
2015 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	187 026
2015 წლის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის ნეტო ეფექტი შემოსავლებზე / (ხარჯებზე)	**111 121**

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
შრომის ანაზღაურება	1 030 184	901 439
იჯარა	190 640	108 744
საკანცელარიო ხარჯები	16 045	26 717
კომპიუტერის და კომუნიკაციის ხარჯები	47 609	39 351
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	46 855	30 557
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	7 600	7 000
საგადასახადო ხარჯები	1 535	847
საბანკო ხარჯები	7 615	3 744
წარმომადგენლობითი ხარჯები	3 291	3 091
სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	68 289	39 164
სარეკლამო	4 331	15 328
საფოსტო ხარჯები	9 389	
მივლინების ხარჯი	4 385	12 114
არაგამოსაქვითი ხარჯები	7 475	20
	1 445 243	**1 188 117**

8. ფინანსური შემოსავალი

კომპანიამ 2015 წლის განმავლობაში, ისევე როგორც 2014 წელს სამ სხვადასხვა ბანკში – სს „ბანკი ქართუში", სს „ბაზის ბანკში" და სს „პროკრედიტ ბანკში" –განათავსა საკუთარი ფულადი სახსრები. კომპანიის 2015 წლის ფინანსურ შემოსავალი წარმოადგენდა ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი – 42 222 ლარი.

ვინაიდან, კომპანია წარმოადგენს ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს, მის მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი სხვა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

9. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან

2015 წელს კომპანიამ მიიღო შემოსავალი საკურსო სხვაობებიდან 246 020 ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოყვანილია მონაცემები კომპანიის აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურის შესახებ ლარში და უცხოურ ვალუტაში (ლარის ექვივალენტის მითითებით):

	GEL	EURO	RUB	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1 182 829	117 584		890 896	2 191 310
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	1 378 489	17 327	259	3 237 687	4 633 762
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	367 245				367 245
საქონელი	56 353				56 353
წინასწარ გაწეული ხარჯები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	13 835				13 835
წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი	3 013 591				3 013 591
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	7 027			148	7 175
ძირითადი საშუალებები	161 516				161 516
არამატერიალური აქტივები	24 504				24 504
გადავადებული საგადასახადო აქტივი	391 259				391 259
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში					-
სულ აქტივები:	**6 596 649**	**134 911**	**259**	**4 128 731**	**10 860 550**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9 867				9 867
გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება		987 576		3 023 534	4 011 110
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	187 026				187 026
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი	519 238				519 238
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	121 523	790		16 150	138 463
გადავადებული შემოსავალი	5 067 363				5 067 363
					-
სულ ვალდებულებები:	**5 905 017**	**988 366**	**-**	**3 039 684**	**9 933 068**
ნეტო საბალანსო პოზიციები 31.12.2015 -სთვის	**691 632**	**(853 455)**	**259**	**1 089 047**	**927 483**

კომპანიას გააჩნია ფულადი სახსრები, მოთხოვნები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში. კომპანიას სავალუტო რისკი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიის აქტივები, ან მეტია, ან ნაკლებია ვალდებულებებზე იმავე ვალუტაში.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან საბალანსო მუხლების მიხედვით:

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	293 399	(76 058)	217 341
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	785 832	(160 006)	625 827
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	68 747	(33 522)	35 225
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	24	(4)	19
სულ საკურსო მოგება / (ზარალი) აქტივებიდან:	**1 148 002**	**(269 590)**	**878 413**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	481		481
გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება	952 454	(1 582 622)	(630 168)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1 795	(4 497)	(2 702)
სულ საკურსო მოგება / (ზარალი) ვალდებულებებიდან:	**954 731**	**(1 587 120)**	**(632 389)**
სულ	**2 102 733**	**(1 856 709)**	**246 024**

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	ნაშთი 01.01.2016 (ლარი)	ნაშთი 01.01.2015 (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	4 638	3 693
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	1 057 437	1 731 030
დეპოზიტები	1 129 235	305 000
	2 191 310	**2 039 723**

11. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება სამედიცინო, ტვირთების, ავტომობილების, საავიაციო, სამოგზაურო და ქონების დაზღვევიდან, სულ 4 633 763 ლარის ოდენობით. კომპანიის სრული დებიტორული დავალიანების სტრუქტურა სახეობების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ნაშთი 01.01.2016 (ლარი)	ნაშთი 01.01.2015 (ლარი)
სიცოცხლის დაზღვევა	34 167	6 135
სამედიცინო დაზღვევა	1 091 441	758 213
ტვირთების დაზღვევა	26 446	8 663
ავტომობილების დაზღვევა	217 335	111 969
საავიაციო დაზღვევა	2 726 487	2 321 712
ქონების დაზღვევა	452 835	132 955
ვალდებულებათა დაზღვევა	3 905	3 911
სამოქალაქო პასუხისმგებლობა	16 352	23 582
უბედური შემთხვევა	67 488	33 854
საფინანსო დანაკარგების დაზღვევა	885	
სამოგზაურო დაზღვევა	7 732	4 154
სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-11311	
	4 633 763	**3 405 146**

12. სხვა მიმდინარე მოთხოვნები

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
ავანსები	2 191	2 789
წინასწარ გაწეული აგენტის და ბროკერის ხარჯები	148 456	26 276
მოთხოვნები რეგრესიდან	212 576	
სხვა მიმდინარე აქტივები	4 022	
	367 245	**29 065**

13. წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ერიცხებოდა წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები შემდეგი სტრუქტურით:

	ნაშთი 01.01.2016 (ლარი)	ნაშთი 01.01.2015 (ლარი)
წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	459	1 253
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	3 785	3 785
წინასწარ გადახდილი სხვა გადასახები	73	159
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	9 519	4 415
	13 835	**9 612**

2014 და 2015 წელი კომპანიამ დაასრულა საგადასახადო ზარალით.

14. წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (დაზღვევა ავტო)	100 527	
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (გადამზიდველის პასუხიმგებლობა)	8 292	
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (ქონების დაზღვევა)	328 572	65 587
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (ავიაცია)	2 554 658	2 191 501
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (ტვირთები)	11 213	6 270
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (სხვა სახის პასუხისმგებლობა)	10 329	
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (პროფესიული პასუხისმგებლობა)		7 056
	3 013 591	**2 270 413**

15. სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
მოთხოვნები გადამზღვევის მიმართ ზარალის ანაზღაურების ნაწილში	426 947	479
მოთხოვნები გადამზღვევის მიმართ ზარალის რეზერვის ნაწილში	152 061	
დებიტორული დავალიანება გადაზღვევის საკომისიოდან	294 720	70 285
	873 728	**70 765**

16. მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები ბანკი „ქართუ"	1 637	
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები „პროკრედიტ" ბანკში	195	197
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები „ბაზის" ბანკში	5 342	
	7 175	**197**

17. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი შეძენის (ისტორიული) ღირებულებით და არიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

ავტო ტრანსპორტი – 5 წელი;
კომპიტერები და კომუნიკაციის საშუალებები – 5 წელი;
ავეჯი და სხვა მოწყობილობები – 5 წელი;
განუსაზღვრელ ვადიანი არამატერიალური აქტივები – 10 წელი.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება, ან ის მზადაა ესქპლუატაციში გაშვებისთვის.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში ხორციელდება, როდესაც მოვლენები, ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ახდენს იმ აქტივის გადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში; ამ შემთხვევაში, ზრდა აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეტობას, ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობით.

ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ასახვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთასა და თავდაპირველ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან, გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას, კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შეკეთებასთან, ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	59 511	182 553	1 204	8 104	46 370	**297 741**
დამატება	6 800	52 315	135			**59 250**
(შემცირება)						-
გადაფასება						-
სულ ისტორიული ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**66 311**	**234 867**	**1 339**	**8 104**	**46 370**	**356 991**
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	30 528	74 206	80	1 174	17 631	**123 620**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	6 927	34 308	261	1 621	4 235	**47 351**
ჩამოწერა						-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**37 454**	**108 515**	**341**	**2 795**	**21 866**	**170 971**
ნარჩენი ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**28 856**	**126 353**	**997**	**5 309**	**24 504**	**186 020**

18. გადავადებული საგადასახადო აქტივი

	ნარჩენი დირებულება (ფინანსური)	ნარჩენი დირებულება (საგადასახადო)	დროებითი სხვაობები	მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი	მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)
2015					
ძირითადი საშუალებები	161 516	111 483	(50 033)	15%	(7 505)
არამატერიალური აქტივები	24 504	22 704	(1 800)	15%	(270)
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	(22 613)		22 613	15%	3 392
საგადასახადო ზარალი	-		2 637 612	15%	395 642
სულ	**163 407**	**134 186**	**2 608 391**		**391 259**

19. ვალდებულებები გადამზღვევლის მიმართ

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებამ გადამზღვევლის მიმართ შეადგინა 4 011 110 ლარი.

	EURO	USD	სულ
Paraklis Insurance Solution	959 284	2 660	961 944
Rifams LTD	28 293	(1 295)	26 998
Almondz Reinsurance Brokers		11 975	11 975
Ingosstrakh insurance company		1 224 470	1 224 470
Luftfahrt-Versicherungslosung		1 778 739	1 778 739
Howden insurance Brokers Ltd		6 985	6 985
	987 576	3 023 534	4 011 110

20. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
მიღებული ავანსები	2 571	
ქონების გადასახადი	218	
გადასახდელი ბროკერის და აგენტის საკომისიო	119 474	28 755
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	16 200	1 200
	138 463	29 955

21. გადასახდელი გადასახადები

2015 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ გააჩნდა საგადასახადო ვალდებულებები. კომპანიამ 2014 და 2015 წელი საგადასახადო ზარალით დაასრულა.

22. გადავადებული შემოსავალი (UPR რეზერვი)

კომპანიის 2014 და 2015 წლების გადავადებული სადაზღვევო შემოსავლების სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოდგებოდა:

	გადავადებული შემოსავალის ნაშთი	მოზიდული პრემია	გამომუშავებული პრემია	გადავადებული შემოსავალის ნაშთი
	31.12.2014	*2015 წელი*	*2015 წელი*	*31.12.2015*
სამედიცინო დაზღვევა	750 667	3 923 571	3 674 273	999 965
სამოგზაურო დაზღვევა	5 565	53 067	52 202	6 430
სიცოცხლის დაზღვევა	6 911	30 839	3 667	34 083
ქონების დაზღვევა	203 189	1 227 045	601 061	829 173
საფინანსო დანაკარგებისგან დაზღვევა		2 000	775	1 224
ავტომობილების დაზღვევა (სამოქ. პასუხისმგებლობის ჩათვლით	166 158	1 359 250	1 228 651	296 756
გადამზიდველის პასუხიმბებლობის დაზღვევა	6 326	30 964	24 496	12 794
უბედური შემთხვევების დაზღვევა	6 413	18 399	15 498	9 314
ტვირთების დაზღვევა	8 377	168 990	159 754	17 613
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	6 350	25 881	22 545	9 685
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	56 503	159 297	167 133	48 667
მცურავი სატრანსპორტო საშ. დაზღვევა	-	6 313	3174	3 139
საავიაციო დაზღვევა	2 259 679	3 569 311	3 155 948	2 673 041
სულ:	**3 476 136**	**10 574 926**	**9 109 178**	**4 941 885**

23. საწესდებო კაპიტალი

2015 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 4670300 ლარს, რომელიც მთლიანად იყო შევსებული ფულადი ფორმით. საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ მოუხდენია საწესდებო კაპიტალის გაზრდა, ან შემცირება.

24. ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

2015 წელს ცვეთის თანხა, რომლითაც მოხდა გადაფასების რეზერვის შემცირება 496 ლარის ტოლია და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასების რეზერვის ნაშთმა შეადგინა 951 ლარი.

25. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

26. გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლელებები. ეს ცვლილებები საკმაოდ ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითაც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. გადასახადების შემოწმება შესაძლოა სხვადასხვა ორგანოების მიერ იქნას ჩატარებული, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების, თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება.

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს, რომელიც გაცილებით მაღალია საქართველოში, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.